საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №77

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2018 წ.

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციის (MES 618 00899822, 12.07.2018 წ) და აკადემიური საბჭოს სხდომაზე ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების და მართვის ორგანოების წარმომადგენლების წინადადებების განხილვის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N30 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:**

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვა ,,მოდულური” და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდეგში ,,პროგრამა“) შემუშავების, განხორციელების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადებიდან ამოღებული იქნეს სიტყვა ,,მოდულური” და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. პროგრამის თავფურცელი მოიცავს:“;

გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვა ,,მოდულური” და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროფესიული პროგრამა;“;

დ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ამოღებული იქნეს;

ე) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,რ) პროგრამის დანართების ჩამონათვალი, რომლებიც თან ერთვის (სასწავლო გეგმა; ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმა უცხოენოვან სტუდენტებისთვის; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; მოდულები - სხვა დანართების სახით).“

ვ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვა ,,მოდულური” და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. პროგრამის სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია გაწერილია პროგრამის მოდულებში (,,მოდულის განხორციელების მიდგომები“, ,,სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისათვის“).“;

ზ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე პროფესიული სტატუსის შეჩერების თაობაზე წერილობითი განცხადებით პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს.“

თ) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) გამოცდების, გამოცდების ჩატარების შესახებ ანგარიშები და შეფასებათა უწყისები - შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტში, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას (ბსუ-ს არქივში 25 წლის ვადით შენახვის მიზნით).“

2. წინამდებარე დადგენილებისა და ბსუ-ში გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე მომზადდეს და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დადგენილ ვადაში გადაეგზავნოს ბსუ-ს მოსაზრებები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ.

3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**